სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში

კენკროვნების წარმოება

1 შესავალი

კვლევა ხორციელდებოდა 2013 წლის ივლისიდან 2015 წლის ივნისამდე პრაღის ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებების, ჩეხეთის უნივერსიტეტის (ტროპიკული აგრომეცნიერებების ფაკულტეტი) მიერ, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციასთან - ,,People in Need" და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან ერთობლივი თანამშრომლობით. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს რეგიონში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ნაწილს.

კვლევის მიზანია, მცირე ფერმერთა თანამშრომლობისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება პროექტის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად. პროექტი მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ხორციელდება ”ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში” (ENPARD GEORGIA) ფინანსური მხარდაჭერით.

2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითმა ჯგუფმა იხელმძღვანელა ისეთი მიდგომით, რომ ერთდროულად რამდენიმე საკითხის წარმოების შესაძლებლობა ჰქონოდა. მოხდა მონაცემთა შეგროვების ორგანიზება და მეთოდოლოგიის შერჩევა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდების ტრიანგულაციის გამოყენებით, სხვადასხვა კუთხის სპეციფიკური საკითხების შესაფასებლად. მას შემდეგ, რაც დადგინდა მაღალი განვითარების პოტენციალის მქონე ადგილობრივი 10 პროდუქტი, (რაც დაეფუძნა ადგილობრივი ექსპერტებისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ინტერვიუებს), ჩვენ განვახორციელეთ უფრო დეტალური კვლევა, რომელიც თითოეულ შერჩეულ პროდუქტზე თემატიკურად ფოკუსირდებოდა. #1 ცხრილში ასახულია კენკრის წარმოებასთან დაკავშირებული რაიონები და ასევე კენკრის ის სახეობები, რომლებიც მიიღება იმერეთსა და რაჭაში და გამოკვლეული იქნა ჩვენს მიერ:

ცხრილი 1 - კენკრის მწარმოებელი მუნიციპალიტეტები იმერეთში და რაჭაში[1].

კენკრის სახეობა	მუნიციპალიტეტი
მარწყვი	თერჯოლა, ტყიბული
ჟოლო	ბაღდათი, ხარაგაული
ლურჯი მოცვი	ბაღდათი, ტყიბული

კენკრის აღნიშნული სახეობების შერჩევა გამოსაკვლევად მოხდა ერთის მხრივ, ქვეყანაში რეგიონების მიხედვით სამომხმარებლო პროდუქტების ბაზრის ანალიზის და მეორეს მხრივ, დარგის ექსპერტებთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე. საიდანაც დადგინდა, რომ სამიზნე რეგიონში კენკროვანი კულტურებიდან სამრეწველო დანიშნულება გააჩნია მხოლოდ მარწყვს, ჟოლოს და მოცვს.

იმერეთის და რაჭის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პრუდუქტთან დაკავშირებული დარგობრივი მონაცემების შეგროვება შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:

- 2013 წლის ივლისი - იმერეთის 11 რაიონის რვა ძირითადი პროდუქტის წარმოების სისტემები;
- 2013 წლის აგვისტო - ბაზრის კვლევა და წარმოების სისტემების ანალიზი სამ რაიონში, რომლებიც დადგენილ იქნა სამიზნე რაიონებად პროექტის განხორციელებისათვის;
- 2013 წლის ნოემბერი - პირველი პროდუქტისთვის საპილოტე მონაცემების შეგროვება;
- 2014 წლის მარტი-ივნისი - შვიდი პროდუქტისთვის მონაცემების შეგროვება და დასრულება.
- 2015 წლის მარტი-ივნისი - სამი პროდუქტისთვის მონაცემების შეგროვება და დასრულება.

ანალიზისთვის გამოყენებული იქნა უმთავრესად ინფორმაციის ძირითად მიმწოდებლებსა და ფერმერთა ჯგუფზე დაყრდნობით წარმოებული თვისობრივ-ხარისხობრივი კვლევა, რომელსაც უნდა გამოევლინა სამიზნე ჯგუფების ქცევები და მათი აღქმა კონკრეტულ თემებთან, თუ საკითხებთან მიმართებაში. მთავარ თვისობრივ-ხარისხობრივ მეთოდად გამოყენებული იქნა ნახევრადსტრუქტურული, საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი ინტერვიუების მეთოდი. ინტერვიუები წარმოებდა ინფორმაციის მომწოდებელთა მცირე ჯგუფებთან, რომლებსაც გამოკვლეულ, განხილულ საკითხთან დაკავშირებით როგორც წესი, უშუალო პირველადი ცოდნა გააჩნიათ. თითოეული ინტერვიუ 1,5-დან 2 საათამდე გაგრძელდა. ინფორმაციის ძირითად მომწოდებელთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ მოეცვა მთელი ქსელი -

[1] შენიშვნა: კენკროვნების კულტურული პლანტაციები გვხვდება მხოლოდ იმერეთში, რისი მიზეზებიც აღწერილია ქვემოთ.

დაწყებული მიმწოდებლებით, დამთავრებული ადგილობრივი ბაზრით. ყოველივე ეს გულისხმობს იდენტიფიცირებასა და ინტერვიუების წარმოებას ისეთ ჯგუფებთან, როგორებიცაა - სხვადასხვა სიდიდის ფერმერები - მწარმოებლები, შემგროვებლები, შუამავლები, გადამამუშავებლები, ადგილობრივ ბაზარზე მოვაჭრე გამყიდველები.

კენკრის წარმოების, როგორც სოფლის მეურნეობის ერთერთი დარგის მონაცემთა შეგროვების საშუალებას წარმოადგენს შემდეგი:

- ინტერვიუები კენკრის მწარმოებელი ფერმერების და გადამამუშავებელი საწარმოების წარმომადგენლებთან;
- კენკრის გადამუშავებით მიღებული სხვადასხვა საკვები პროდუქტების ბაზრის შესწავლა.

სურათი 1 - მონაცემების შეგროვების წერტილების რუქა



თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევა ნაწილობრივ რეპრეზენტატიულია, ასახავს ზოგად სურათს და იძლევა მონაცემებს ყველაზე მეტი სიხშირით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. მეორადი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები კი ემყარება სხვადასხვა არსებული და ხელმისაწვდომი

კვლევების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებულ კვლევებს და აშ.

3 კენკრის წარმოება – საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი

კენკრის მოყვანა საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეხილეობის დარგის ერთერთი ტრადიციული მიმართულებაა. კენკრა ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში მეტ-ნაკლებად არის გავრცელებული და სხვადასხვა რეგიონების ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია კენკრის სახეობებიც, რომლებიც ქვეყანაში მოიყვანება.

რაც შეეხება მიზნობრივ რეგიონებს - იმერეთსა და რაჭას, დღესდღეობით კენკროვანი ხილის კულტურული პლანტაციები ძირითადად იმერეთში გვხვდება, თუმცა აქაც, წლების განმავლობაში გავრცელებული იყო მხოლოდ მარწყვი, მაგრამ მისი წარმოების მოცულობა დიდი არ იყო და როგორც წესი, შინამეურნეობები უმეტესად მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებდნენ. ჟოლოს და მოცვის კულტურული პლანტაციების გაშენება იმერეთის რეგიონში კი სულ რაღაც 3-5 წლის წინათ დაიწყო. აღნიშნული კულტურები რაჭის რეგიონშიც წარმატებით შეიძლება იქნეს მოყვანილი, თუმცა, კვლევამ აჩვენა, ჯერ-ჯერობოთ რაჭაში არ არსებობს კენკრის მსგავსი მეურნეობები.

კვლევამ აჩვენა, რომ კენკროვანთა მწარმოებელი მეურნეობები რეგიონში ვითარდებიან, ვინაიდან მოთხოვნა ბაზარზე საკმაოდ მაღალია, თუმცა სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების არ არსებობის გამო, რთულია დარგის რენტაბელურობის და განვითარების ტენდენციების შეფასება. ექსპერტული შეფასებით კი დგინდება, რომ წარმოების მოცულობა რეგიონში ჯერჯერობით მცირეა და ადგილობრივ მოთხოვნასაც ვერ ამაყოფილებს.

იმერეთის რეგიონში მარწყვი ტრადიციული კულტურაა და მისი მოყვანით დაკავებულია გაცილებით მეტი ფერმერი, ვიდრე დანარჩენი კულტურებით. საოჯახო მეურნეობს ძირითადად მოყავთ მარწყვი და პლანტაციის ფართობი 0,05 ჰა-დან 0,5 ჰა-მდე მერყეობს, მოყვანილ პროდუქციას კი მხოლოდ ადგილობრივ (რეგიონის) ბაზარს აწვდიან. ჟოლოსა და მოცვის მოყვანა რეგიონში სულ რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ამჟამად არსებობს ამ კენკროვანების 7 შედარებით მსხვილი მეურნეობა იმერეთის რეგიონში.

რეგიონში არ არსებობს კენკროვნების გადამამუშავებელი საწარმოები, კენკრის წარმოების მცირე მოცულობის გამო, თუმცა წარმოების გაზრდის შემთხვევაში გადამამუშავებელი საწარმოების გაკეთება საკმაოდ მომგებიანი იქნება.

არსებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები საკმაოდ ხელსაყრელია კენროვანი კულტურების მოყვანისათვის, თუმცა წარმოების უწყვეტობის უზრუნველყოფისათვის ასევე აუცილებელია კენკროვნების მოყვანა არა მხოლოდ ღია გრუნტში, არამედ

სასათბურე მეურნეობებშიც. ამასთან, პროდუქციის მიწოდების სეზონის გახანგრძლივებისათვის მნიშვნელოვანია სამაცივრე შესანახი მეურნეობების შექმნა, რაც ამ ეტაპისათვის არცერთ მწარმოებელს არ გააჩნია.

რადგან კენკრის შესახებ ოფიციალური ეროვნული სტატისტიკური მონაცემები არაა ხელმისაწვდომი, რთულია შეფასდეს სექტორის განივითარების მდგომარეობა და მისი პერსპექტივები, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონალურ დონეზე.

4 კენკრის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვი

4.1 წარმოების სისტემები

იმერეთის რეგიონში, სოფლად მცხოვრები საოჯახო მეურნეობების დაახლოებით 10%-ს (ექსპერტული შეფასებით) გააჩნია მარწყვის პლანტაცია. ამასთან, ბოლო წლებში, სისტემატიურად იზრდება ამ პლანტაციების ფართობი, შედეგად, თუ 10-15 წლის წინათ მარწყვი ძირითადად მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის მოიყვანებოდა, დღესდღეობით წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი გასაყიდად არის განკუთხვნილი. რაც შეეხება, ჟოლოს და მოცვს, მათი გაშენება რეგიონში კულტურული პლანტაციების სახით დაახლოებით 5 წლის წინ დაიწყო და ამჟამად მხოლოდ 2 მსხვილი და 5-მდე წვრილს ფერმებს მოჰყავთ ჟოლო, რომელთა პლანტაციების ფართობები 1 ჰა-ს არ აღემატება და 2 ლურჯი მოცვის პლანტაცია საერთო ფართით 15 ჰა.

მარწყვი

სეზონზე მარწყვი ძირითადად ღია გრუნტში მოჰყავთ. არასეზონზე მარწყვი სათბურებში მოყავთ და საკრეფი პერიოდი შემოდგომას, ზამთარს და გაზაფხულს ემთხვევა.

საქართველოში მარწყვის 2 ძირითადი ჯიშია გავრცელებული: მოკლე დღის და დღის ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური (რემონტატული). მოკლე დღის ჯიში განკუთვნილია სათბურისთვის და ხანგრძლივობისადმი ნეიტრალური- ღია გრუნტისთვის. მათ შორის განსხვავება არის დღის ხანგრძლივობაში, რომლის განმავლობაშიც კვირტები გამოაქვთ. მოკლე დღის ჯიშები საყვავილე კვირტებს ივითარებენ შემოდგომით, როდესაც დღე მოკლეა, ხოლო ნეიტრალური დღის ნებირმიერი ხანგრძლივობის შემთხვევაში. მოკლე დღის მარწყვის ჯიშები მოსავალს მაისის ბოლოდან ივნისის ჩათვლით იძლევიან, გარეგნულად ნაყოფი საშუალოზე დიდი

სურათი 2 - მარწყვის პლანტაცია ღია გრუნტში

ზომისაა, მუქი წითელი და ტკბილი, გარდა ამისა არსებობს ყინვა გამძლე ჯიშები, რომლებიც სუსხიანი ზამთრის პირობებშიც არ იყინება, თუმცა ისინი მაინც უნდა დაიფაროს მულჩით.

დღის ხანგრძლივობის მიმართ ნეიტრალური ჯიშები მსხმოიარობს ივნისიდან შემოდგომამდე, პირველი ყინვის დადგომამდე, ისინი შეიძლება გაშენდეს როგორც მრავალწლიანი, ასევე ერთწლიანი ნარგავების სახით, მათ შედარებით მცირე ზომის ნაყოფი აქვთ. მარწყვის გასაშენებლად ადგილის შერჩევისას რამდენიმე ძირითადი ფაქტორი გაითვალისწინება: ნიადაგის ტიპი და ნაყოფიერება, მჟავიანობა, დრენაჟი, ქარიანობა, მზის სინათლე, წყლის ხელმისაწვდომობა და ნიადაგზე ადრე არსებული კულტურები. უნდა შეირჩეს მზიანი ადგილი, მიზანშეწონილი არ არის მარყწვის გაშენება ჩავარდნილ, ტაფობებიან ადგილებზე. უნდა მოვერიდოთ ნიადაგს, სადაც ადრე ძაღლყურძენისებრთა ოჯახის რომელიმე მცენარე, ან საკუთრივ მარწყვი იყო გაშენებული, ასეთ ნიადაგზე გაშენებისას მნიშვნელოვანია ნიადაგის ფურმიკაცია, ასევე რეკომენდირებულია მარწყვის გაშენება ისეთ ადგილებში, რომელიც ადრე საძოვრად გამოიყენებოდა. გაშენებამდე დიდი ხნით ადრე უნდა ჩატარდე ნიადაგის ანალიზი, მჟავიანობის ოპტიმალური დონე არის 6-7 ერთეული, დასავლეთ საქართველოში მარწყვი უნდა გადაირგას სექტემბრის ბოლოდან ოქტომბრის დასაწყისამდე, დარგივ დროს ნიდაგი უნდა იყოს ტენიანი, დაშორება 25–35 სმ. რიგებს შორის 1.2 მეტრი, 1 კვმ–ზე 7 ნერგი ირგვება.

ჟოლო

საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოიძებნება ადგილები, სადაც ჟოლოს მოყვანისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობებია, შესაბამისად ქვეყანაში ამ კულტურის წარმოების გაფართოებისთვის შესანიშნავი პოტენციალია. იმერეთში გავრცელებულია ჟოლოს პოლონური ჯიშები „პოლკა“, „რაშკა“, ასევე ამერიკული „ტულეიმანი“. რეგიონში არსებული ფერმერებს, როგოც წესი, მოყავთ სამივე ჯიშის ჟოლო.

ჟოლო ნახევრად ბუჩქია 1,5 მ სიმაღლით, ერთწლიანი ვეგეტაციური ყლორტები ბალახოვანია, ხოლო ორწლიანი გამერქნებული და გენერატიულია (ნაყოფის მომცემი), რომელნიც ნაყოფმსხმოიარობის შემდეგ ხმება.

მებაღეებისთვის ჟოლო მნიშვნელოვანი კულტურაა. მისი ნაყოფი ფასდება ნაზი არომატისა და არაჩვეულებრივი გემოს გამო. ჟოლოს რგავენ რიგებად. თითოეულს აშორებენ სხვებისგან ზუსტად განსაზღვრული მანძილით. ძელები ყენდება ყოველ რიგთან ისეთ მანძილზე, რომ მათ შორის გაიჭიმოს მეტალის მართული. ჟოლოს დასარგავად შერჩეულ ადგილს მთლიანად უნდა ხვდებოდეს მზის სინათლე. უნდა შეირჩეს დრენაჟის კარგი უნარის მქონე, ბუნებრივად ნაყოფიერი, ორგანული ნივთიერებების მაღალი შემცველობის (2-4%) ნიადაგი, რომლის pH-ის მაჩვენებელი 6.0-იდან და 7.0-მდეა. ჟოლოსთვის უფრო ხელსაყრელია ქვიშნარი ან მსუბუქი თიხნარი სტრუქტურის მქონე ნიადაგი, თუმცა კარგად ხარობს, ასევე, დრენაჟის კარგი უნარის მქონე თიხიან ნიადაგებზეც.

სურათი 3 - ჟოლოს პლანტაცია ხარაგაულში

ჟოლო უნდა გაშენდეს სწორ ან ოდნავ დაქანებულ (<8 %) მიწის ფართობებზე. ნიადაგის ეროზიის თავიდან ასაცილებლად რიგები უნდა მოეწყოს დაქანების საწინააღმდეგო მიმართულებით. მიწის მომზადება ხდება ტრაქტორით, იხვნება და ფრეზით მუშავდება, კეთდება ბრეკი და მასზე ირგვება ხელით.

ლუჯი მოცვი

მოცვი არის მრავალწლიანი მცენარე,. საქართველოში გავრცელებულია მოცვის ოთხი სახეობა: მთის, (Vaccinium myrtillus),ლურჯი, (Bluebarries; Vaccinium uliginosum) წითელი (cranberries - Vaccinium vitis-idaea) და კავკასიური მოცვი (Vaccinium arctostaphylos). იმერეთის რეგიონში ფერმერები უპირატესობას ანიჭებენ ლურჯი მოცვის ჯიშს. მოცვის ყველაზე დიდი პლანტაციები გაშენებულია ვარციხეში 6 ჰა და ტყიბულში 9 ჰა ფართობებზე. მოცვის კულტურა (ველური ფორმა), ნაკლებად მომთხოვნია გარემო პირობებისადმი. ის ყველა ტიპის ნიადაგზე ხარობს, მაგრამ მაქსიმალურ მოსავალს იძლევა მჟავე ნიადაგებზე. გარეულ პირობებში ხარობს მწირ, ქვაღორღიან და ქვიშნარ ნიადაგებზეც. ნაკლებ მომთხოვნია სინათლისა და ტენის მიმართ. გამოირჩევა ზედაპირული ფესვთა სისტემით და ყინვაგამძლეობით. იტანს 20-25°C ყინვას.

მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის და მაღალი მოსავლის მისაღებად ნიადაგის მჟავიანობა უნდა იყოს 4,0-5,0, ნაკვეთი კარგად დრენაჟირებული, გაფხვიერებული, განათებული და ტენით უზრუნველყოფილი. ბუჩქი უნდა დაირგას ადრეულ გაზაფხულზე. ყველაზე ოპტიმალურია ერთიდან სამ წლამდე ნერგები, თუ ეს შესაძლებელია. როგებს შორის მანძილი უნდა იყოს 1.2 მეტრი და 0.9 მეტრი- ნერგებს

შორის. ახალი დარგული ნერგვისთვის მნიშვნელოვანია მულჩირება,რომელიც უნდა იყოს 25-40 სმ სიგანის და 10-15 სმ სიღრმის. მულჩირება შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა ორგანული მასალისგან, ყველაზე პოპულარულია: ნახერხი, ხის ნაფოტები, ჩალა და კაკლის ნაჭუჭი. მოცვი იწყებს ყვავილობას მაისი-ივნისში და დათესვის პერიოდია ივლისი-აგვისტო.

4.2 პროდუქტიულობა

დარგში პროდუქტიულობის სრულად წარმოჩენისათვის აუცილებელია ცალ-ცალკე იქნეს გაანალიზებული რეგიონში გავრცელებული ძირითადი სახეობების კენკრის წარმოების მაჩვენებლები. ეს მოგვცემს საშუალებას არ დაიკარგოს თითოეული მათგანის სპეციფიკა.

მარწყვი - მარწყვი მრავალწლიანი, კენკროვანი კულტურაა. ის შეიცავს ბევრ ვიტამინს. მისი ნაყოფი გამოიყენება სისხლნაკლებობის, ავიტამინოზის, კუჭის დაავადებების დროს, ის აუმჯობესებს ნაწლავების მოქმედებას და ნივთიერებათა ცვლას.

ღია გრუნტში 500 კვმ–ზე 3500 ნერგი თავსდება და თითოეული კარგი მოვლის შემთხვევაში 1 კგ. ნაყოფს იძლევა. დაკრეფის პროცესში ან სხვა მიზეზით იკარგება ნაყოფის 5%. ანუ მთლიანი მოსავალი 500 m^2 ფართობზე არის 3325 კგ. სეზონზე ფასი 3–5 ლარია, შესაბამისად, თუ ჩავთვლით, რომ საშუალო ფასი 4 ლარია, ამონაგები არის 13300 ლარი. მუშახელის ხარჯი 4 კაცზე სეზონის (2 თვე) განმავლობაში შეადგენს 2800 ლარს, სასუქების და პესტიციდების ხარჯი 300 ლარი, შესაფუთი კონტეინერები 1500 ლარი, ხოლო მოგება რჩება 8620 ლარი.

თანამედროვე სასათბურე კონსტრუქციები 500 კვმ–ზე 10 000 ნერგის განთავსების საშუალებას იძლევა, კარგი მოვლის პირობებში კი ძირი 1 კგ ნაყოფს იძლევა, მოსავალი არის 10 ტონა, დანაკარგის გათვალისწინებით 9.5 ტონა. არა სეზონზე მისი ფასი 7–15 ლარია, საშუალოდ 10 ლარი, შესაბამისად შემოსავალი არია 95000 ლარი. მუშახელის ხარჯი 2 კაცზე 9600 ლარი, სასუქები 3000 ლარი, ელ. ენერგია 400 ლარი, წყალი 1600 ლარი, შესაფუთი კონტეინერები 4275 ლარი, მოგება 76125 ლარია, იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაცია ხდება პირდაპირ ნაკვეთიდან, ტრანსპორტირების ხარჯების გარეშე. 500 კვმ ფართზე პლანტაციის გაშენება 5200 ლარი ჯდება, აქედან 250 კვმ საჭიროა ნიადაგის მოსამზადებლად, 150 ლარი სამულჩი პირის შეძენაზე, 800 ლარი საწყავი სისტემის მოწყობაზე, 500 ლარი მუშახელის მომსახურებაზე, ხოლო 3500 ლარი ნერგების შეძენაზე იხარჯება. ღია გრუნტში გასაშენებლად საუკეთესო ჯიშებია „ფორტუნა“ და „ფესტივალი“.

ჟოლო - მსხმოიარობის ტიპის მიხედვით ჟოლო იყოფა ორ ჯგუფად: ზაფხულში მსხმოიარე და შემოდგომაზე მსხმოიარე. ზაფხულში მსხმოიარე ჟოლო ნაყოფს იძლევა ორწლიან ტოტებზე. დაახლოებით, 2 თვის შემდეგ გაზაფხულზე კვირტის დაბერვიდან იმ შემთხვევაში, თუ ზამთრის განმავლობაში არ დაზიანდა ჟოლოს მოსვენებული ტოტები. საქართველოში მეტწილად ამ ტიპის ჟოლო მოჰყავთ. ის იზრდება ვეგეტატიურად პირველი წლის განმავლობაში, გვიან შემოდგომაზე სცვივა ფოთლები და ზამთარში გადადის მოსვენებულ მდგომარეობაში. ახალი ზრდა იწყება მეორე წლის გაზაფხულის დასაწყისში. ზაფხულში მსხმოიარე ჟოლო პირველი წლის ტოტებზე არ იძლევა ნაყოფს.

შემოდგომაზე მსხმოიარე რემონტატული ჟოლო იძლევა ნაყოფს პირველი წლის ყლორტების ზედა ნაწილში 6-დან 8 კვირის განმავლობაში გვიან ზაფხულზე და შემოდგომაზე. ამ ტიპის მცენარემ შეიძლება, ასევე, ნაყოფი გამოისხას მეორე წლის ტოტების ქვედა ნაწილში გაზაფხულზე, 4-კვირიანი მოსავლის სეზონზე.

სურათი 5 - ჟოლოს სანერგე მეურნეობა ბაღდათში

კარგი მოვლის პირებებში ჟოლოს ბუჩქი ძლებს 10- 12 წელი. გასაყიდი ფასი არის 4-5 ლარი. სეზონი გრძელდება მაისი–ივნისის თვეში. 0,5 ჰექტარზე ირგვება 10000 ძირი ჟოლო და ძირზე მოდის 0,5 კგ. შესაბამისად, თუ საშუალო ფასად ავიღებთ 4,5 ლარს, მაშინ შემოსავალი რეალიზაციიდან იქნება 22500 ლარი. რეგიონში არსებული მწარმოებლები მიღებული პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად ახდენენ ადგილობრივ ბაზრებზე, კერძოდ: ქუთაისში, თბილისში, ზესტაფონში და ა.შ.

მოცვი - დღეისათვის ქვეყანაში გავრცელებულია სხვადასხვა ტიპის მოცვი. მაგრამ ლეგასი და ბლუკროპი ყველაზე გავრცელებული ლურჯი მოცვის ჯიშებია იმერეთის რეგიონში. ცხრილ 2 -ში ნაჩვენებია სხვადსვა ჯიშების აგრობიოლოგიური დახასიათება.

სურათი 6 - მოცვის პლანტაცია ბაღდათში



ცხრილი 2 - მოცვის ჯიშების აგრობიოლოგიური დახასიათება

ჯიში	მცენარის სიმაღლე (მ)	ნაყოფის დიამეტრი (მმ)	მოსავალი ბუჩქიდან (კგ)	ნაყოფის სიმწიფე (თვე)
ბერკლი	1,8-2,1	18	4,0-8,0	VIII
ბლუკროპი	1,6-2,0	18,0-20,0	6,0-9,0	VIII
პატრიოტი	1,2-1,8	19	5,0-7,0	VII
ბრიჯიდა	1,8-2,0	15	4,0-6,0	VIII
დიუკი	1,2-1,8	17,0-20,0	6,0-8,0	VII
სანრაისი	1,2-1,8	17,0-20,0	6,0-8,0	VII
სპარტანი	1,5-2,0	16,0-18,0	4,5-6,0	VIII
ტორო	1,8-2,0	18,0-20,0	6,0-8,0	VIII
ელიზაბეტა	1,5-2,0	16,0-18,0	4,0-6,0	VII
ერლიბლუ	1,5-1,8	17	5,0-8,0	VI
ბლუგოლდი	1,5-1,8	15,0-18,0	5,0-8,0	VII-VIII
ლეგასი	1,6-2,0	15,0-18,0	6,0-9,0	VII
მისტი	1,6-1,8	15,0-17,0	6,0-8,0	VI
ჩანდლერი	1,6	20	6,0-8,0	VIII
შანტეკლერი	1,6	16,0-19,0	3,0-5,0	VII
ონილი	1,7-2,0	14,0-17,0	5,0-7,0	VI
რეკა	1,7-2,0	17,0-19,0	8,0-10,0	VIII

კვლევამ აჩვენა, რომ მოცვის საბითუმო ფასი 2014 წელს იყო 1,5 ლარი და თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰექტარზე ირგვება 3000 ძირი, მაშინ საშუალო მოსავლიანობის შემთხვევაში, რეგიონში გავრცელებული ჯიშების - ლეგასის და ბლუკროპის, შემოსავლიანობა წელიწადში იქნება დაახლოებით 33750 ლარი (1,5 ლ (1 კგ-ის ფასი) * 7,5 კგ (საშუალო მოსავალი ძირზე) * 3000 (1 ჰა-ზე ძირების რაოდენობა)).

4.3 პროდუქციის ქსელი - დამახასიათებელი იმერეთის რეგიონისთვის

სქემა 1 - კენროვანების ღორებულებათა ჯაჭის სქემა იმერეთის რეგიონისათვის



კენკრის ფერმერები. არსებობს 100-მდე მცირე და საშუალო მარწყვის მწარმოებელი ფერმერი, 7 საშუალო ზომის- ჟოლო და 2 დიდი მეურნეები არინ კენკრის მწარმოებლები. საოჯახო მეურნეები თავიანთ პროდუქტს ყიდიან თვითონ ადგილობრივ ბაზარზე. სხვა მწარმოებლები კი უშუალოდ შუამავალთა. მხოლოდ ვარციხეშია ფერმა, რომელიც უშვებს კენკრის ხაზს, არჩევს და აფასოებს პაკეტებში.

უშუალო გაყიდვები, ადგილობრივი ბაზარი. მცირე მწარმოებლები წარმოების მოცულობის სიმცირის გამო, პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ ადგილზე მეურნეობიდან, ან თავად მიაქვთ გასაყიდად ადგილობრივ საცალო ბაზარზე. კერძოდ, პროდუქციის რეალიზაცია ხდება ქუთაისის, ზესტაფონის და სხვა მუნიციპალიტეტების საკოლმეურნეო ბაზრებში, იშვიათ შემთხვევაში კი თბილისის ბაზარზე.

მსხვილი სავაჭრო ობიექტები. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული ობიექტები (მაგალითად „გუდვილი“, „კარფური“) პროდუქციას ძირითადად იძენენ შედარებით მსხვილი მწარმოებლებისაგან, რომელთაც შეუძლიათ სეზონზე მათთვის საჭირო ოდენობით პროდუქციის მიწოდების უზრუნველყოფა. ამასთან, მსხვილი სავაჭრო ობიექტები შესყიდული საქონლის ტრანსპორტირებას, როგორც წესი თავად ახდენენ სპეციალური მაცივარი მანქანებით, რათა შენარჩუნებული იქნეს მისი ხარისხი, გემოვნური თვისებები და ფიზიკური სახე. რეალურად იმერეთის რეგიონში (2 ფერმერი ვარციხე და ტყიბული) მხოლოდ ლურჯი მოცვი იყიდება სუპერმარკეტებში.

შუამავლები და დისტრიბუტორები. მსხვილი მწარმოებლები პროდუქციას ასევე ყიდიან მებითუმე მოვაჭრეებზე ადგილზე, მეურნეობიდან. მებითუმეებს, თავის მხრივ, პროდუქცია ასევე ადგილობრივ ბაზრებზე გააქვთ. თითოეულ მწარმოებელს, როგორც

წესი ურთიერთობა აქვს ერთ ან ორ დისტრიბუტორთან, რომელთაც თავის მხრივ ჰყავთ რამდენიმე დახლზე მოვაჭრე ან/და კავშირი აქვთ მაღაზიებთან, რომლებსაც აწვდიან პროდუქციას მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, ყველა მწარმოებელი კენკრას ყიდის ცოცხლად და არცერთ მათგანს არ გააჩნია შესანახი სამაცივრე მეურნეობა, რაც საშუალებას მისცემთ მათ უზრუნველყონ პროდუქციის მიწოდება ბაზრისათვის უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გარდა ამისა, იყიდება ცოცხალი კენკრა და არცერთ მათგანს არ აქვს შესანახი მაცივარი. არსებობს 7 მებითუმე , რომელიც რეგიონში კენკრაზე მუშაობს.

4.4 პროდუქციის ფასები

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონში წარმოებული კენკროვანი ხილის ფასები საკმაოდ სტაბილური იყო უკანასკნელი წლების განმავლობაში და არ განიცდიდნენ არსებით რყევებს მოთხოვნის სტაბილურობის გამო. მცირე ცვლილება (არა უმეტეს 20%-ის ფარგლებში) კი ძირითადად გამოწვეულია მოსავლის ოდენობით. დიდი მოსავალი იწვევს ფასების შემცირებას და პირიქით. თუმცა, მეწარმეთა განცხადებით აღნიშნული ცვალებადობა არის დაახლოებით 20%-ის ფარგლებში.

ცხრილი 3 - იმერეთის რეგიონში წარმოებული კენკრის ფასები

პროდუქტის სახეობა	საცალო ფასი ლარი/კგ		საბითუმო ფასი ლარი/კგ	
	სეზონზე	არასეზონზე	სეზონზე	არასეზონზე
მარწყვი	3-5	12-15	1.5-3	10-12
ჟოლო	4-5	12-17	2.5-3.5	10-15
ლურჯი მოცვი	3-5	10-12	2.5-3	8-10

5 კონკურენტუნარიანობის ალმასის მოდელი: რესურსების პირობები; მოთხოვნის პირობები; მონათესავე სექტორები; კონტექსტი

5.1 წარმოებისთვის საჭირო რესურსები

კენკრის წარმოებისათვის საჭირო კომპონენტებია:

ნერგი

მარწყვი. მარწყვის 1 ნერგის ფასი 1 ლარია. 1 m^2–ზე 7 ნერგი ირგვება, შესაბამისად 500 m^2 ფართზე პლანტაციის გაშენებისათვის აუცილებელია 3500 ლარი. მარწყვის დარგვა შესაძლებელია სხვადასხვა სქემით, თუმცა სასურველია ორ რიგიანი შემაღლებული კვალი. ორ რიგიანი სქემა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე გავრცელებული მეთოდია მცენარეების გასაშენებლად. შემაღლებულ კვალზე მარწყვის გაშენებისას ორ რიგიან სისტემაში რიგებს შორის მანძილი 30-35 სმ-ია, შავი პოლიეთილენის მულჩით დაფარული კვლის სიგანე კი 60-67.5 სმ. თითოეულ რიგში მარწყვის ნერგებს შორის დაშორება, ასევე, 30-35 სმ-ს უნდა შეადგენდეს, ჯიშის მიხედვით. საუკეთესოა, ნერგები

დაირგოს ჭადრაკულად, ისე, რომ ერთ რიგში ნარგავი განთავსებული იყოს მეორე რიგში ნარგავებს შორის სივრცის გასწვრივ.

ჟოლო. ჟოლოს ნერგები ღირს 1-1,5 ლარი. ის სხვა მცენარეებისგან იმით განსხვავდება, რომ პირველ წელს გამოაქვს მხოლოდ ფოთლები, ხოლო მეორე წელს მოკლე ტოტები, რომელზეც ვითარდება ნაყოფი. იმერეთის რეგიონში ფერმერებს მოჰყავთ ჟოლოს ორი სახეობა ნოვა და კაროლინა, ნერგები, რომელსაც ყიდულობენ კარალეთში (შიდა ქართლში) სანერგე სახლში.

მოცვი. საქაართველოს პირობებთან ყველაზე უფრო ადაპტირებულად ითვლება ამერიკული ნერგები, რომელიც 8 ევრო (19 ლარი) ღირს ძირი. დღეს უკვე ფერმერები არ ყიდულობენ იმპორტირებულ ნერგებს, რადგან არსებობს სანერგე სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში.მათ აქვთ ინ-ვიწრო ლაბორატორია და აწარმოებენ ნერგებს, რომლის ერთეულის ფასიც მერყეობს 5 დან 8 ლარამდე. აღნიშნული ნერგები არის 1 წლის, 4 წლის შემდეგ გადის მაქსიმალურ მოსავლიანობაზე და საშუალო სიცოცხლისუნარიანობა არის 30 წელი.

შხამქიმიკატები, სასუქები

ზემოთ განხილულ სამივე კულტურას წლის განმავლობაში ესაჭიროება როგორც სასუქები ნიადაგის გასამდიდრებლად, ასევე შხამქიმიკატები, სხვადასხვა დაავადებებთან და პარაზიტებთან საბრძოლველად, თუმცა, როგორც კვლევამ აჩვენა, მათი წილი თვითიღირებულებაში დიდი არ არის და 5-დან 10%-მდე მერყეობს. ფერმერები მათ იძენენ ახლომდებარე აგრო მაღაზიებში, შეწამვლას კი ახდენენ ხელის მექანიკური აპარატების ან მსხვილი მეურნეობების შემთხვევაში ელექტრო აპარატების გამოყენებით.

ფერმერები იყენებენ შემდეგ ქიმიკატებს: Lipaedin, Beverin, Turingen. ეს საშუალებები ერთად გამოიყენება და ერთი ლიტრი სითხე ერევა 50 ლიტრ წყალში.

გამოკვლეული ფერმერები აცხადებენ, რომ ადგილობრივ მაღაზიებში ყოველთვის არ იყიდება მაღალი ხარისხის ქიმიკატები. ისინი როგორც წესი იყენებენ საშუალებებს, რომელსაც ტრადიციულად მოიხმარენ და თითქმის არასდროს მიმართავენ სიახლეებს, რათა თავიდან აიცილოდ უხარისხო მასალების გამოყენება.

სამუშაო ძალა

დარგში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა სეზონურობით ხასიათდება. გამოკითხულ მეწარმეთა ინფორმაციით, შრომის ანაზღაურების ხარჯების ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 10-15%-ს არ აღემატება. სამუშაო ძალა, რომელსაც დარგი მოითხოვს არ საჭიროებს მაღალ კვალიფიკაციას, შესაბამისად მისი მოძიება, როგორც წესი პრობლემური არ არის. 1 ჰა–ზე მოსავლის აღებაზე მუშაობს საშუალოდ 5 ადმიანი. ისინი ანაზრაურებას იღებენ ყოველ მოკრეფილ კილოგრამზე 0,5 ლარის ოდენობით.

5.2 მოთხოვნა

რადგან, არ არსებობს კენკრის დამუშავებასა და დასრულებასთან დაკავშირებით ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები, რთულია შევაფასოთ ფაქტობრივი მოთხოვნა და მოხმარების სტრუქტურა. მოხმარების დაახლოებით 75% მოდის მარწყვზე, 20% ჟოლოზე, ხოლო დაახლოებით 5% მოცვზე. მსყიდველუნარიანი მოთხოვნა გვხდება ძირითადად „დიდ ქალაქებში“ პირველ რიგში თბილისში.

კენკრა ძირითადად ნედლი ფორმით მიოხმარება, როგორც ხილი, დესერტი. მოთხოვნა, ისევე როგორც მიწოდება პიკს აღწევს საფხულში. მიუხედვად იმისა, რომ კენკრის სხვდსხვა სახელობები ბაზარზე ზამთარშიც არის ხელმისაწვდომი, მოთხოვნა საკმაოდ მცირეა. მომხმრებლები სათბურში მოყვანილი კენრის მიმართ არ არიან კეთილგანწყობილნი, არიდენებ რა თავს მის ხშირ მოხმარებას და ძირითადად ყიდულობენ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევებისათვის.

კენკრის მოხმარების სამომხმრებლო ქცევის ანალიზისას ასევე გასათვალიწინებელია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ოჯახი ზაფხულობით ყიდულობოს შედარებით დიდი რაონობის კენკრას და მაზადებს ჯემებისა და მურაბების წლის მარაგს. როგორც წესი ყველა დისახლის საკუთარი ტრადიციუალი რეცეპრი აქვს ამა თუ იმ კენკრისაგან მურაბის დასამზადებლად.

5.3 მსგავსი წარმოებები - მონათესავე სექტორები

იმერეთის რეგიონებში არსებული წვრილი საოჯახო მეურნეობები, როგორც წესი კენკრის მოყვანასთან ერთად მისდევენ ასევე სოფლის მეურნეობის სხვა დარგებსაც, მაგალითად მევენახეობას, მესაქონლლეობას და ა.შ. მსხვილი მეურნეობებს კი, როგორც წესი, ერთდროულად მოჰყავთ რამდენიმე დასახელების კენკროვანი, რაც მათ საქმიანობას დივერსიფიცირებულს ხდის. მაგალითად, ბაღდათში არსებული ერთერთი ყველაზე მსხვილი მეურნეობა ერთდროულად ახდენს მოცვისა და ჟოლოს მოყვანას, რაც მას აძლევს საშუალებას, რომ თუ კლიმატური პირობების გამო, რომელიმე ერთი კულტურა წამგებიანი იქნება კონკრეტულ წელს, მეორე კულტურიდან მიღებული მოგებით შეამციროს ფინანსური დანაკარგი.

აღსანიშნავია, რომ რეალურად არც ერთი ფერმერი არ არის ჩართული მონათესავე სექტორში. გარდა ლურჯი მოცვის მწარმოებელი ფერმერებისა (რომლის ნერგის გამოყვენას სპეციალური რალორატორია ჭირდება)

5.4 კონკურენცია

დარგში არსებული კონკურენცია უნდა იქნეს განხილული ორი მიმართულებით: პირველი - კონკურენცია, რომელიც არსებობს კენკროვნების ადგილობრივ მწარმოებლებს შორის და მეორე - კონკურენცია, რომელსაც კენკრის მწარმოებლები განიცდიან იმპორტიორების მხრიდან. თუმცა იმპორტი საკმაოდ მცირეა. ოფიციალური ინფორმაციით, 2013 წელს იმპორტირებულ იქნა მხოლოდ 138 დოლარის ღიღებულების კენკრა (ჯგუფი: vaccinium; digit code 081040), 2014 წელს კი ეს მაჩვენებელი გაიზარდა და 5 526 დოლარს მიაღწია, რაც კვლავ ძალიან დაბალი მაჩვენებელია ადგილობრივ ბაზარზე

ზემოქმედების ან ბაზრის სტრუქტურაში ნებისმიერი ცვლილების მოსახდენად . მარწყვზე იმპორტის მაჩვენებლები შედარებით მაღალია- 2013 წელს 117 038 და 2014 წელს 143 783 დოლარი, მაგრამ მაინც უმნიშვნელოა ბაზარზე ზემოქმედების თვალსაზრისით. სავარაუდოა, რომ იმპორტი ხდება ძირითადად ზამთარის პერიოდში, რათა დააკმაყოფილოს მაღალი მოთხოვნა ყველა სახის ხილზე ზამთრის დღესასწაულებზე (ახალი წელი, შობა).

რაც შეეხება კონკურენციას კენკრის მწარმოებლებს შორის, რომლებიც ბევრნი არ არიან და მათი წარმოების საერთო მოცულობა რეგიონში ასევე არ არის დიდი, მათივე განცხადებით არ არის მძაფრი, ვინაიდან ყველა ფერმერი ახერხებს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას სტაბილურ ფასად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ფასის და მომგებიანობის გამო ზემოთ აღნიშნული კენკროვნებით დაკავებული ფართობები მუდმივად იზრდება რეგიონში, შესაბამისად გაიზრდება წარმოების მოცულობაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს კონკურენციის გამძაფრებას ბაზარზე.

6 სტრატეგიული მწარმოებლურობა და ხარისხი

6.1 კენკრის წარმოება - კვების უსაფრთხოებასთან და ხარისხთან მიმართებაში

კენკროვანი ხილის ხარისხი, რომელიც გაიტანება ბაზარზე სარეალიზაციოდ, როგორც სხვა საკვები პროდუქტის, ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რისთვისაც ქვეყანაში არსებობს სურსათის ეროვნული სააგენტო. თუმცა, რეალურად რაიმე სახის კონტროლი პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით არ ხდება, ამასთან მწარმოებლებს მიაჩნიათ, რომ მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას ხარისხის კონტროლის პროცედურების გავლა და შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილება არ გაუჭირდება, ვინაიდან ის იწარმოება ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. თუმცა, კენკროვნების წარმოების მოცულობის შემდგომი გაზრდის და ადგილობრივი ბაზრის გაჯერების შემთხვევაში, ადგილობრივი მწარმოებლები იძულებული იქნებიან მოიძიონ საექსპორტო ბაზრები, სადაც ხარისხის კონტროლის სისტემა უმნიშვნელოვანესია და შესაბამისად, მწარმოებლები ვალდებული იქნებიან იზრუნონ ხარისხის დადასტურებაზე.

6.2 საექსპორტოდ საჭირო ფიტო-სანიტარული, ჰიგიენური და ხარისხის მოთხოვნები

საქართველოს კანონდმებლბა არეგულირებს სურსათის უვნებლობის სტანდარტებსა და ნორმებს, რათა თავიდან აიცილოს ბაზარზე სახიფათო პროდუქციის გაყიდვა. თუმცა, კენკრის კულტურებთან (ნედლეული ან საბოლოო)კენკროვნების დაკავშირებით არ არასებობს, რაიმე ხარისხის კონტროლის ქმედითი და ეფექტიანი სტანდარტი, რომ ბაზრას მეწოდოს კონტროლირებადი ხარისხიანი პროდუქცია.

წარმოების სფეროს განვითარებისა და ევროპის ბაზარზე პროდუქციის ექსპორტის განხრციელების მიზნით აუცილებელია ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ნორმატიულ აქტებს:

ევროკავშირში შესვლისთვის სასოფლო სამეურნეო პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს ევროპული საქონლისა და მცენარეთა ჯანმრთელობის, ჰიგიენის წესებს. ეს წესები მოითხოვება ნებისმიერი ქვეყნიდან იმპორტის დროს. DCFTA ხელს შეუწყობს ქართულ პროდუქტს დააკმაყოფილოს მოთხოვნები, რაც ჯერ არ შესრულებულა. წარმოების სფეროს განვითარებისა და ევროპის ბაზარზე პროდუქციის ექსპორტის განხრციელების მიზნით აუცილებელია ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს (GNIA) თანახმად, ევროკავშირის ბაზრებზე შესვლას შემდეგი ძირითადი წესები და რეგულაცია არეგულირებს (Affinitas, 2012):

- **ჰიგიენური წესების დაცვის რეგულაცია** (Regulation (EC) No 178/2002) - შესაძლოა, გადამამუშავებელი საწარმოებისთვის ეს იყოს ყველაზე რთულად შესასრულებელი მოთხოვნა, ვინაიდან დროის ამ ეტაპზე, ოპერატორებს როგორც წესი არ გააჩნიათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა ან სისტემები სათანადო ჰიგიენური სტანდარტების უზრუნველსაყოფად.
- **ეტიკეტირების წესები** (Directive 2000/13/EC) - წესის თანახმად, პროდუქტის ეტიკეტმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა სპეციალურ მოთხოვნა (მითითებული უნდა იყოს პროდუქტის გამოყენების წესები, შენახვის ვადები, წარმოშობის ადგილი, და ა.შ.) და შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი. 2015 წლიდან აღნიშნული წესი შეიცვალა შემდეგი რეგულაციით Regulation (EU) No 1169/2011 , რომელიც მომხმარებლისთვის სურსათთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას შეეხება.
- **მარკეტინგის სტანდარტები** - ევროკავშირის სხვადასხვა ბაზარზე არსებული სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც არეგულირებს: ხარისხს (ტენი, პესტიციდები, სისუფთავე და კლასიფიკაცია) ზომას, პრეზენტაციას და მარკეტინგს.
- **იმპორტის ლიცენზია** - სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირების ლიცენზია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე რეგიონში არსებული არც ერთი მწარმოებელი არ ახდენს პროდუქციის ექსპორტს, დარგს აქვს განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივა და მისი გამოყენების შემთხვევაში ზემოთ მოტანილი ინფორმაცია სასარგებლო იქნება მეწარმისათვის.

7 ექსპლუატაციური პროდუქტიულობა - დამუშავება, გადაადგილება, დაავადებები, ბიოლოგიური საფრთხეები

7.1 დამუშავება

სამიზნე არეალში არ არსებობს კენკრის გადამამუშავებელი საწარმო. კვლევით დადგინდა, რომ ამის მიზეზი არის კენკრის წარმოების არასაკმარისი მოცულობა რეგიონში, რის გამოც

საწარმო ვერ იქნება მომგებიანი. თუმცა, პერსპექტივაში, წარმოების მოცულობის გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელია ასეთი საწარმოს შექმნა რენტაბელური გახდეს. ამჟამად იმერეთის რეგიონში, არსებობს ერთადერთი საწარმოო ხაზი, სადაც ხდება მხოლოდ პროდუქციის დაფასოება და შეფუთვა.

7.2 ტრანსპორტირება და გადაადგილება

დარგში სატრანსპორტო საშუალებების საჭიროება მაღალი არ არის. მწარმოებლები ტრანსპორტს იყენებენ ძირითადად სასუქების და შხამქიმიკატების გადასატანად და ვინაიდან ისინი არც თუ ისე დიდი ოდენობით ჭირდება დარგს და ამიტომ საკუთარი მსუბუქი ავტომანქანებით სარგებლობენ. ასევე, მცირე და საშუალო მწარმოებლები/ ჩამბარებლები პროდუქციას ბაზარს აწვდიან საზოგადოებრივი ტრანპსპორტით ან საშუალო ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობენ. გარდა ამისა, საშუალო ტვირთამწე ტრანსორტი ამცირებს კენკრის ხარისხს და ფორმას. მსხვილი ფერმერები/ჩამბარებლები ძირითადად პროდუქტის ტრანსპორტირებას საკუთარი სამაცივრე მანქანებით ახნედენ ან კონტრაქტი აქვთ გაფორმებული მსხვილ სუამავლებთან, რომ დაიცვან ხარისხი, გარეგნული იერსახე და ღირებულება.

7.3 დაავადებები და ქიმიური საფრთხეები

მოცვი. მასზე ხშირად შეიძლება გავრცელდეს ისეთი დაავადებები, როგორიცაა მონილიოზური სიდამპლე, ყლორტების ფომოფსისური ჭკნობა, ნაცრისფერი სიდამპლე, შტამბის კიბო და ყლორტის წვეროების ხმობა. წვიმიან და ნესტიან პირობებში კიდევ შესაძლებელია განვითარდეს ნაცრისფერი ობი.

ყველა ამ დაავადებების თავიდან ასაცილებლად მცენერეების შესხურება ხდება ისეთი ფუნგიციდებით, როგორიცაა ტოფსინი, უპარენი, სპილენძის ქლორჟანგი, კუპროზანი და სხვა. მავნებელთაგან მოცვის ბუჩქებს აზიანებს აბრეშუმხვევია, ფოთოლმხვევები, ბუგრი, ფარიანები და მაისის ხოჭოს მატლები. მათ წინააღმდეგ გამოიყენება ყველა ხელთარსებული ინექტიციდი იმ დოზითა და ჯერადობით, როგორც ეს აგროღონისძიებითა და რეკომენდაციებით არის გათვალისწინებული. მათი შეძენა შესაძლებელია ნებისმიერ აგრო მაღაზიაში.

ჟოლო. ძირითადი მავნებლებია სარეველები, მწერები და ტკიპები, დაავადებები და ნემატოდები. მავნებლების მიერ გამოწვეული დაზიანების სიმპტომების ცოდნა და ნარგავების ხშირი მონიტორინგი მნიშვნელოვანია სერიოზული აფეთქებების თავიდან ასაცილებლად. აუცილებელია მავნებლების პრობლემების ადრეული იდენტიფიკაცია და შესაბამისი კონტროლის ღონისძიებების გატარება, რათა მივაღწიოთ მოსავლის დამაკმაყოფილებლად მოყვანას და მოგებას. ჟოლოს ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს იწვევენ სოკოები, თუმცა ზოგიერთი დაავადება შეიძლება, ასევე, ვირუსებითა და ბაქტერიებით იყოს გამოწვეული. ჟოლოს დაავადებების სიხშირესა და სიმწვავეზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის, ჯიში, მცენარეთა სიძლიერე, ზრდის ეტაპი, გარემო პირობები, კულტივაციის მეთოდები და მცენარეთა სიმჭიდროვე. დაავადებასთან ბრძოლისთვის ეფექტური ფუნგიციდის შერჩევა ხდება თავად დაავადების სახეობის შესაბამისად.

მარწყვი. მას ძალიან ხშირად აქვს პრობლემა სხვადასხვა მავნებლებისგან დარგვიდან მოსავლის აღებამდე. ეს არის მღეჭავი და მჩხვლეტავ-მწუწნავი მავნებლების დიდი სპექტრი. მავნებლებისგან დაუცველია ყველა ქსოვილი, მათ შორის, ფესვები, ვარჯი, ყუნწი, ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი. მავნებლებთან ბრძოლის ეფექტური პროგრამები გულისხმობს შესაძლო პრობლემებთან დაკავშირებით ზომების მიღებას ხშირი მონიტორინგით და, საჭიროებისამებრ, სათანადო მცენარეთა დაცვის საშუალებებით დროულად დამუშავებას. სერიოზული დაზიანების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მავნებლებით გამოწვეული დაზიანების სიმპტომების ცოდნა. ძირითადი დაავადება არის ბუგრი, რომელიც გადადის თხილის პლანტაციებიდან. არსებობს მავნებლების პრევენციის არა ერთი მეთოდი: შესაბამისი სანიტარიული მეთოდები, ბიოლოგიური და ქიმიური კონტროლი.

8 მომარაგების ჯაჭვის მენეჯმენტი - პროდუქციის და ინფორმაციის მოძრაობა ჯაჭვში

რეგიონში არსებული წვრილი მწარმოებლები უმეტეს შემთხვევაში, პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე თავად ყიდიან. ტრანსპორტირებას ახდენენ საკუთარი მსუბუქი ავტომობილებით, ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით. შედარებით მსხვილი მწარმოებლები კი, პროდუქციას ყიდიან მსხვილ სავაჭრო ობიექტებზე (მაგალითად „გუდვილზე“, „კარფურზე“ და ა.შ.), ან კიდევ მებითუმეებზე, რომლებიც თავად ახდენენ პროდუქციის ტრანსპორტირებას. მწარმოებლები უმზადებენ მათ პროდუქციას დიდი ზომის ყუთებში, ან მცირე პაკეტებში შეფუთულს და აგზავნიან ქსელში. ამ შემთხვევაში, როგორც წესი ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება სპეციალური მანქანები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციისათვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმის დაცვას.

მცირე და საშუალო ფერმერები სიტყვიერად შეთანხმებულები არიან შუამავლებთან. მხოლოდ ერთ მსხვილ ფერმას (კეკნკრის მწარმოებელი) აქვს დადებული ხელშეკრულება სუპერმარკეტების ქსელთან. მეზობელი ფერმერებიც ერთმანეთში ინფორმაციას ვერბალურად ავრცელებენ. ბაზარზე არ არსებობს ახალი ტექნოლოგიების ან კენკრის მოყვანის თანამედროვე გზების შესახებ ინფორმაციის განახლების ან მიღების საშუალება,

9 ადამიანური რესურსები, სოციალური კაპიტალი და გაფართოების შესაძლებლობები

9.1 Know-how და ხელმისაწვდომობა გაფართოების სერვისებზე

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონში კენკროვანი კულტურების წარმოება სულ უფრო პოპულარული ხდება, თუმცა ამ სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიები ჯერ კიდევ მინიმალურ დონეზე არის დანერგილი და ძირითადად პროდუქციის მოყვანა ხდება ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ღია გრუნტზე. თანამედროვე მეთოდების დანერგვას კი ხელს ისიც უშლის, რომ ყოველივე ეს ძალიან ძვირი ჯდება.

ამასთან, დღეის მდგომარეობით, რეგიონში არსებულ არცერთ მწარმოებელს არ აქვს სამაცივრე მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფდა პროდუქციის შენახვას და ბაზრისათვის მის მიწოდებას წლის მანძილზე უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. თუმცა, კვლევის პროცესში დაფიქსირდა ცალკეული მეწარმეების მხრიდან მზაობა შესანახი მეურნეობის გაკეთებასთან დაკავშირებით.

მთავრობის ან არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არ არსებობს რაიმე გაფართოების ხელშეწყობის სერვისი, თუმცა ზოგი ფერმერი არ ეძებს მსგავს შესაძლებლობებს. მათ არ აქვთ გასაღების პრობლემები, რაიმე დამატებით თანხებს არ ხარჯავენ თანხებს განვითარებისთვის.

9.2 ფორმალური განათლების შესაძლებლობები

რეგიონში კენკროვანი კულტურების წარმოება-დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის მიღების შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არსებობს არც საშუალო და არც უმაღლესი განათლების დონეზე. შესაბამისი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები აქვს მხოლოდ აგრარულ უნივერსიტეტს თბილისში.

9.3 სოციალური კაპიტალი და კოოპერირება

დარგში კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ მწარმოებლები პირადი ურთიერთობების საფუძველზე აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას. კოოპერირების განვითარებას ამ ეტაპზე ხელს მწარმოებელთა რაოდენობის სიმცირე უშლის და თუ მათი ოდენობა გაიზრდება, მაშინ ფერმერებს პირველ ეტაპზე, შეეძლებათ ერთობლივად შექმნან ბაღები, ერთობლივად მოახდინონ შესაწამლი საშუალებების შეძენა-ტრანსპორტირება, პროდუქციის ტრანსპორტირება ბაზრამდე, ასევე ერთობლივად აწარმოონ მოლაპარაკებები მყიდველებთან, ერთობლივად შექმნან შესანახი მეურნეობები და ა.შ.

10 ინსტიტუციები და ბიზნეს-გარემო

10.1 ბიზნეს გარემო

კვლევის პროცესში გამოკითხული მეწარმეები არსებით პრეტენზიებს არ გამოთქვამენ სფეროში არსებული ბიზნეს გარემოს მიმართ. ისინი თითქმის არ ხვდებიან რაიმე ფორმალურ თუ არაფორმალურ ბარიერებს ბაზარზე. მათი აზრით, მთავარი პრობლემა, რაც ბიზნესის განვითარებას აფერხებს, არის კაპიტალის ნაკლებობა, რაც მათ არ აძლევთ საშუალებას სწრაფად განავითარონ მეურნეობები.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო საკმაოდ ლიბერალურია, დაბალია გადასახადების მოცულობა, მატივია ბიზნესის დაწყება, დაცულია საკუთრების უფლება და ბაზარზე პრაქტიკულად არ არსებობს ხელოვნური ბარიერები.

10.2 მთავრობის მხარდაჭერა

რაიმე კონკრეტული სახელმწიფო დარგობრივი პოლიტიკა ან პროგრამა, რომლიც მიმართული იქნება უშუალოდ კენკრის გადამუშავების დარგის ხელშეწყობისკენ არ არსებობს. თუმცა გარკვეული ზოგადი ხასიათის პროგრამებს შეუძლიათ დადებითი როლის შესრულება, მათ შორისაა სხვადასხვა სამთავრობო პროგრამები, ისეთები როგორებიცაა: აწარმოე საქართველოში; შეღავათიანი აგროკრედიტი; კოოპერატივების ხელშეწყობის პროექტი და ა.შ.

კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი მიმართულება, რომელშიც კენკრის მწარმოებლები სახელმწიფოს მხარდაჭერას მოითხოვენ არის შემდეგი:

- ლიზინგის წესით თანამედროვე დანადგარების შეძენა, რათა შეძლონ შესანახი სამაცივრე მეურნეობების შექმნა;
- ბაზარზე არსებული შხამქიმიკატებისა და სასუქების ხარისხის კონტროლი.

11 დასკვნები და რეკომენდაციები

11.1 SWOT

S • ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები • ბაზარზე სტაბილური მოთხოვნა	W • შესანახი და სამაცივრე მეურნეობების არარსებობა • თანამედროვე აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა • საკრედიტო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა • პროდუქციის წარმოების დაბალი მოცულობა
O • ახალი პლანტაციაბის გაშენება და წარმოების მოცულობის ზრდა • საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა • კოოპერაციის განვითარება დარგში	T • მავნებლების გავრცელება • კლიმატური პირობების გამო შესაძლო დაბალი მოსავლიანობა

11.2 ხილის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესების პოტენციალი

ახალი პლანტაციებისგანვითარება და წარმოების მოცულობის გაზრდა. მიუხედავად იმისა რომ არ არსებობს ბაზრის მოცულობის შესახებ ოფიციალური მონაცემები, ცალსახად არსებობს პროდუქციის წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობა: ფერმერები მარტივად ყიდიან მოყვანილ პროდუქციას. გრძელვადიან პერიოდში არსებობს ექპორტის შესაძლებლობა. ახალი პლანტაციების განვითარება, ანდა არსებულების გაფართოება მომგებიანი იქნება როორც არსებული ასევე დამწყები

ფერმებისათვის.

გადამამუშავებელი ქარხანა. რეგიონში არ არსებობს კენკროვანთა გადამამუშავებელი საწარმო, რისი მიზეზიც ასევე არის ნედლეულის არასაკმარისი მოცულობა. კენკრონების გადამუშავება და მისგან სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების წარმოება კი შეიძლება საკმაოდ მომგებიანი ბიზნესი გახდეს, ვინაიდან ადგილობრივ მომხმარებლებს კენკროვნებისაგან დამზადებული სხვადასხვა პროდუქტების მოხმარების ჩვევა ტრადიციულად აქვთ ჩამოყალიბებული და მათ სამკურნალოდაც კი მოიხმარებ გაციების და სხვა მსგავს შემთხვევებში.

მაღალია მოთხოვნა მოცვსა და ჟოლოზე საერთაშორისო ბაზარზე, ხოლო სარეალიზაციო ფასები ბევრად აღემატება ადგილობრივს. გამომდინარე აქედან პერსპექტივაში, მოსავლის მოცულობის ზრდის კვალობაზე ადგილობრივმა მწარმებლებმა აუცილებელია დაიწყონ ზრუნვა პროდუქციის ექსპორტზე, ამისათვის კი ძალიან მნიშვნელოვანია გააფართოვონ თანამშრომლობა ერთმანეთთან, ვინაიდან ცალკე აღებულ ერთ მწარმოებელს ბევრად უფრო გაუჭირდება პროდუქციის გატანა ქვეყნის გარეთ ვიდრე კოოპერირების შემთხვევაში.

შესანახი საშუალებები. ასევე რეგიონში არსებულ მწარმოებლებს არ აქვთ შესანახი სამაცივრე მეურნეობები, რომელიც მისცემდათ მათ საშუალებას, გაეხანგრძლივებინათ ბაზრისათვის პროდუქციის მიწოდების სეზონი. ჯერჯერობით ისინი აკმაყოფილებენ სეზონურ მოთხოვნსა და არ აქვთ გასაღების პრობლემები, მაგრამ სამომავლოდ წარმოების მოცულობის გაზრდის პარალელურად აუცილებელი გახდება შენახვის საშუალებების გამოყენება.

კოოპერატივების განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მდგომარეობით საკმაოდ მწირეა კოოპერირების შესაძლებლობა - მარწყვის მწარმოებლების შემთხვევაში მათი ნეგატიური დამოკიდებულების, და სხვა კენკროვანების მწარმებლების მცირე რაოდენობის გამო - კოოპერატივების ფორმირება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დარგის განვითარების კუთხით. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდება, როდესაც გაიზრდება კონკურენცია და გაჩნდება ექსპორტის შესაძლებლობები.

12 ბიბლიოგრაფია

- საინფორმაციო პორტალი ფერმერებისათვის www.agrokavkaz.ge – მოცვის ჯიშების აგრობიოლოგიური დახასიათება http://agrokavkaz.ge/dargebi/mebageoba/phermeris-bibliotheka-motsvis-moshenebis-praqtikuli-sakhelmdzghvanelo.html
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები – http://moa.gov.ge
- ნიადაგის შერჩევა - დევიდ პიჩა, ჟოლო, ფერმერის გზამკვლევი, თბილისი 2014 http://acda.gov.ge/res/docs/2014080717045485182.pdf
- ნიადაგის შერჩევა - დევიდ პიჩა, მარწყვი, ფერმერის გზამკვლევი, თბილისი 2014 http://www.pugetsoundfresh.org/sites/default/files/PSF_Farm_Guide_2014.pdf